

მანანა ტურიაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის
რეპეტიცია
„ზაფხულის ღამის სიზმარი“



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2012

მიხეილ თუმანიშვილის რეპეტიცია: „ზაფხულის ღამის სიზმარი“
მანანა ტურიაშვილი

წიგნი ასახავს რეჟისორისა და პედაგოგის – მიხეილ თუმანიშვილის სა-რეპეტიციო პროცესს. რეჟისორი მუშაობს უილიამ შექსპირის პიესაზე „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ნაშრომს თან ერთვის რეპეტიციის აუდიოვერსია. ამ რეპეტიციებით მკითხველი გაეცნობა მიხეილ თუმანიშვილის შემოქმედებით აზროვნებას, მსახიობთან მუშაობის მისეულ მეთოდს, დიდი რეჟისორის იმპროვიზაციული შეთხზვის ვირტუოზულ უნარს. წიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის, არამედ ფართო მკითხველისთვისაც.

რედაქტორი:	მერაბ გეგია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი
რეცენზენტები:	ირინა ლოლობერიძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი ეკატერინე კიკნაძე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი
ესკიზებისა და ფოტოების დამუშავება:	მირიან კილაძე იური მენითოვი
აუდიოვერსიის რეჟისორი:	მანანა ტურიაშვილი
აუდიოვერსიის მონტაჟი:	ანა მესხიშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	ქეთევან ღონლაძე
ყდის დიზაინი:	გოგი ალექსი-მესხიშვილი შოთა გლურჯიძე

© 2012, მანანა ტურიაშვილი

© 2012, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-102-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

ავტორისაგან	5
რეალობიდან ზღაპრულ კომბინაციებამდე	9
„გაფხულის ღამის სიზმარი“ – მოვლენათა რიგი.....	49
„გაფხული ღამის სიზმარი“ – კოსტიუმების დახასიათება	58
მე ასეთი თეატრი მიყვარს...	
ეგეოსი – მოხუცი მამის მართობა.....	61
სიტყვა არის საჭმე	73
არტისტობა სიზმარია... კოჭას გავირება და ტიტანია	84
სიტყვა უნდა ჟღერდეს. პაკი-ფერიას შეხვედრა.....	98
ჰერმია-ლისანდრე	111
ტიტანია-ობერონი – კონსტრუქციის აგების გზა	119
ტიტანია-ობერონის კონსტრუქცია და ღმერთის ქადაგება ..	132
ელენე-დემეტრიოსი.....	146
ვასო და სესილია... არტისტობა	155
სცენაზე პირველი რეჟეტიციის შემდეგ	159
თეგევისი.....	170
ეგეოსი და რეჟისორი კომეზა.....	173
მეორე მოქმედების გარჩევა და რეჟეტიცია	
ეკა კახიანთან (ელენე).....	188
სიყვარულის მემანიგმი და თხრობის პრინციპი.....	201
ყველა კანონი ვიცი, მაგრამ... ..	210

ავტორისაგან

რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის სარეპეტიციო პროცესის მსვლელობა უცხო თვალისთვის ყოველთვის მიუწვდომელი იყო. ბატონი მიშას რეპეტიციებზე დასწრება შეეძლოთ მხოლოდ მის აღზრდილებს და სტუდენტებს. საქართველოს თეატრალურ წრეებში მიხეილ თუმანიშვილის „ხალხი“ გარკვეულ კასტას წარმოადგენდა, რომელიც „ინახავდა“ საიდუმლოს, სცენური კანონების საიდუმლოს. თუ გაგიღიმებდათ ბედი და მოახერხებდით ამ წრეში შეღწევას, ხომ კარგი, თუ არადა მთელი ცხოვრება უნდა გეფიქრა: „ნეტა რა ხდება თუმანიშვილის რეპეტიციაზე, ასეთი უჩვეულო, რაც მე არ ვიცი?“

1989 წლის გაზაფხულზე ბატონი მიშა რეჟისორულ გაკვეთილებს უტარებდა ბალტიისპირეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს. ეს ამბავი ხდებოდა თეატრალური საზოგადოების შენობაში. სტუდენტებთან რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ ბატონი მიშა მათ შეკითხვებზე პასუხობდა.

მე ყოველთვის მაინტერესებდა კინომსახიობთა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება და ბატონი მიშას თითქმის ყველა სპექტაკლს ვესწრებოდი. ბედმა გამიღიმა და სწორედ იმ დღეს, როდესაც გენიალური რეჟისორი სტუდენტებს სცენურ კანონებზე ესაუბრებოდა, მოულოდნელად მომიბრუნდა და მითხრა: „რეჟისორის თანაშემწე იწერს ჩემს რეპეტიციებს, ამ ბოლო დროს სადღაც დაიკარგა...“ უმალ ვუპასუხე: „თუ შეიძლება, მე ჩავიწერ.“ ბატონმა მიშამ განაგრძო: „ჩემი დიქტოფონი აქვს და თუ შეიძლება გამოართვით...“ მეორე დღეს რეჟისორის თანაშემწესთან შინ მივედი და ბატონი მიშას დავალება შევასრულე.

ეს იყო 1989 წელი. მას შემდეგ დაიწყო კასეტების შეგროვების მართონი. მე ყოველდღე ვიწერდი რეპეტიციებს და ფირებს ვალაგებდი თაროზე. ზაფხულობით დროს ვიხელთებდი და ვშიფრავდი ანუ რეპეტიციების ტექსტურ ვერსიას ვაკეთებდი. მახსოვს, ბატონი მიშას სტუდენტმა, დათო საყვარელიძემ მკითხა: „საიდან შოულობ ამ კასეტებს?“ მე ვუპასუხე: „ყოველ საღამოს კარდაკარ დავდივარ და ვაგროვებ.“ მეორე დღეს დათომ კასეტები მომიტანა. ერთი-ორჯერ თავად ბატონი მიშაც შემეშველა და რამდენიმე, ძველი, საბჭოთა პერიოდში გამოსული კასეტები მაჩუქა.

ორ წელიწადში ჩემი სამუშაო სერიოზულ გატაცებას დაემსგავსა. მე არ მინდოდა გამომრჩენოდა ბატონი მიშას არც ერთი სიტყვა, აზრი, სუნთქვაც კი. ჩემს გატაცებას სერიოზულად უყურებდა თავად ბატონი მიშა და მისი სტუდენტები, დღესდღეობით

უკვე ცნობილი რეჟისორები დათო საყვარელიძე და დათო დო-
იაშვილი. თითქმის ყველა რეჟეტიციიზზე ჩვენ სამნი ერთად ვიყა-
ვით. მე ვიწერდი, ისინი კი რეჟეტიციის მსვლელობას გამუდმე-
ბით თვალყურს ადევნებდნენ. ჩვენ ვაკვირდებოდით ქართული
რეჟისურის დიდოსტატს და მისგან ბევრს ვსწავლობდით. ერთ-
ხელ დარბაზში, ბატონა მიშამ ჩაგვიარა და სტუდენტებს უთხრა:
„უნდა ისწავლოთ თეატრი! იმიტომ, რომ მსახიობებთან გექნებათ
ურთიერთობა, მათ ძალიან მძიმე ხასიათი აქვთ. მაგრამ თქვენ კი
არ უნდა გააგვიყოთ მსახიობები, პირიქით, თქვენს საჭიროებაში
უნდა დაარწმუნოთ.“

ბატონი მიშა ყოველდღე არწმუნებდა მსახიობებს „თავის საჭი-
როებაში“. ეს პროცესი ათასი სახით გამოიხატებოდა: პიესის ანა-
ლიზში, თხრობის დროს მსახიობური ნიჭის გამოვლენაში, ზუსტ
შენიშვნებში და ა. შ. და ა. შ. ამ პროცესს დასასრული არ ქონდა.
ჩვენთვის ეს იყო იმპროვიზაციული ვაკვეთილები. სწორედ ამ
პრაქტიკულ ვაკვეთილებს ნახავთ წინამდებარე წიგნში.

მიხეილ თუმანიშვილს განსაკუთრებით უყვარდა მსახიობები.
ყოველთვის გვაფრთხილებდა: „დაიმახსოვრეთ, არ გაბრაზდეთ
არტისტებზე. ისინი ბავშვებივით არიან“. ამ წიგნში სწორედ მისი
საყვარელი მსახიობები ფიგურირებენ. მხოლოდ მათი საშუალე-
ბით ქმნიდა ბატონი მიშა თავის რეჟეტიციებს.

ჩემი და დათო საყვარელიძის ერთობლივი გადაწყვეტილე-
ბით, სარეჟეტიციო ჩანაწერების უამრავი მასალიდან შექსპირზე
მუშაობის პროცესი შევარჩიეთ. ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ მიხეილ
თუმანიშვილის 90 წლის იუბილეს სწორედ რომ „ზოფხულის ღამის
სიზმარი“ მოუხდებოდა. დათო სტუდენტობის დროიდან მოყოლე-
ბული მეუბნებოდა: „არ შეიძლება ამ მასალის ასე მიტოვება, გავა-
კეთოთ“. ამ სიტყვებით ბევრი მიკვირებდა, მაგრამ საქმე საქმეზე
რომ მივიდოდა, ყველა უცნაურად ქრებოდა.

წიგნი მოიცავს რეჟეტიციის პროცესის თხუთმეტ ნაწილს.
თოთხმეტი თავი აუდიოვერსიის სახით არის წარმოდგენილი. ზო-
გიერთი ნაწილის დასათაურება კონკრეტულია, ზოგის კონცეპ-
ტუალური, მაგრამ ყველგან საუბარია სცენურ კანონებზე. ხშირად
ჰკონიათ, რომ რეჟეტიცია გამეორებაა. თუმანიშვილის მაგალით-
ზე ეს ასე არ არის. ის ყოველდღე იმპროვიზირებდა და ალბათ
სწორედ ამიტომ იყო მისი რეჟეტიციები სანახაობრივი, სახალი-
სო, მოულოდნელი, გამჭვირვალე და ამავე დროს, თუ ჩაუკვირდე-
ბოდით, ძალიან რთული. წიგნში გაეცნობით მის მიერ დაწერილ
მომავალი სპექტაკლის მოვლენათა რიგს, კოსტიუმების დახასი-
ათებას. თუ მოგესურვებათ, წაიკითხავთ უკვე ჩამოყალიბებული

სპექტაკლის – „ზაფხულის ღამის სიზმრის“ ანალიზს, დაათვალიერებთ წარმოდგენის ფოტოებს და ბატონ გოგი მესხიშვილის უჩვეულოდ საინტერესო ესკიზებს.

დღე არ გავიდოდა, რომ მიხეილ თუმანიშვილს არ ეხსენებინა გოგი მესხიშვილი: „გოგი წავიდა ნიუ-ორკში“, „გოგი ჩამოვიდა ლენინგრადიდან“, „გოგიმ მოიტანა ესკიზები“. რეჟისორს სჯეროდა ბატონი გოგის და იმ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში სწორედ მხატვრის ნიჭმა შეძლო შეექმნა ის სამყარო, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის წარმოსახვას ზუსტად ესატყვისებოდა. გოგი მესხიშვილის ესკიზებში თქვენ იგრძნობთ „სუნთქვას“, ანუ იმპროვიზაციას თემაზე, რაც თუ ბატონ მიშას დავიმოწმებთ, უდაო ნიჭის დადასტურებაა.

რეპეტიციებზე, სპექტაკლის შექმნის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მუსიკას. თითქმის ერთი წელიწადი მიმდინარეობდა მუსიკალური ნაწყვეტების შერჩევა. ამ სამუშაოს ბოლო არ უჩანდა. თეატრში ახლადმოსულმა მუსიკოსმა ია საკანდელიძემ, რამდენიმე თვეში შეძლო სწორედ იმგვარი სიზმრისეული ატმოსფეროს შექმნა, რომელიც ასე უნდოდა რეჟისორს. ბატონი მიშა მას „ოქროს გოგოს“ ეძახდა.

ამ რეპეტიციების წაკითხვის, მოსმენის დროს, თქვენ გელით უჩვეული სიამოვნება. ბატონი მიშა გასწავლით, დაგაფიქრებთ, ფანტაზიითა და წარმოსახვით შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრის“ მაგიურ ატმოსფეროში გაგხვევთ და გეტყვით, რომ სიცოცხლე მშვენიერია. ეს არ არის ლიტონი სიტყვები: „რატომ? იმიტომ, რომ ეს ასეა!“ და თუ კვლავ ბატონი მიშას ლექსიკას და ფრაზის წყობას მოვიშველიებთ: „რა, არ მეთანხმებით? აი, წაიკითხეთ და მიხვდებით“..

ტექსტი დამუშავებულია მიხეილ თუმანიშვილის ლექსიკის, მისი საუბრის სტილის გათვალისწინებით. ფრაზის გრამატიკული წყობა ზოგად წეს-კანონებს არ ემორჩილება. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არის იმპროვიზაციულად გამოთქმული აზრების ნაკადი, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ სვლებს, რეჟისორისა და მსახიობების ხმის ტემბრს, ფრაზის ჟღერადობას, ეპიზოდების სპეციფიკას. გრამატიკაში არ მოიპოვება იმდენი სასვენი ნიშანი, რისი საშუალებითაც მივალწევდით წასაკითხი ტექსტის ხმის ჟღერადობასთან დაახლოებას. ერთ ფრაზაში თქვენ შეიძლება შეხვდეთ სხვადასხვა დროში თუ ბრუნვაში წარმოებულ ზმნას, რომელიც ასევე რეპეტიციის სპეციფიკის მანიშნებელია. შესაძლოა, რეჟისორი პერსონაჟზე ლაპარაკობდეს მესამე პირში და უცებ გადავიდეს პირველ პირში, ანუ თავისი

თავი ჩააყენოს პერსონაჟის მდგომარეობაში, მერე გაანალიზოს, მერე შეაფასოს, მერე ისევ დაუბრუნდეს, მერე კვლავ პერსონაჟის ტყავში შეძვრეს და ასე დაუსრულებლად. ყოველივე ამის შეცვლა დანაშაული იქნებოდა, რადგან თქვენ ხელთ არსებული წიგნი არის მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორული გაკვეთილები. მისი ტექსტი მოტანილია სიტყვასიტყვით, ფრჩხილებში განთავსებული კომენტარები ავტორისაა, ხოლო დახრილი შრიფტით (Italic) – მოცემულია უილიამ შექსპირის პიესის ფრაგმენტები (უილიამ შექსპირი, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 2, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1985).

და რაც მთავარია, თეატრალურ საქმეში მარტოდმარტო ვერაფერს გააკეთებ. 20 წელია ეს უნიკალური მასალა თაროზე იდო და გულისხმიერ ადამიანს ელოდებოდა. ამ დროს გამოჩნდნენ ბატონი მიშას შემოქმედებითი მემკვიდრეობის დამუშავებით დაინტერესებულნი, მისი მოსწავლე – დათო საყვარელიძე და ილიას უნივერსიტეტის რექტორი ბატონი გივი თევზაძე. მხოლოდ მათი მხარდაჭერით შევძელი განმეხორციელებინა ის, რაც ბატონი მიშას ოცნებაც იყო. ერთხელ, თვითონ მითხრა: „მე დავწერე ორი წიგნი, შემდეგი რეპეტიციები უნდა იყოს“.

მანანა ტურიაშვილი

რეალობიდან ზღაპრულ კომბინაციებამდე

უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრის“ ოფიციალური პრემიერა შედგა 1992 წლის 25 დეკემბერს.

პიესა ინგლისურიდან თარგმნა – ვახტანგ ჭელიძემ

დამდგმელი რეჟისორი – მიხეილ თუმანიშვილი

დამდგმელი მხატვარი – გოგი ალექსი-მესხიშვილი

მხატვარი – ქეთი მესხიშვილი

სასცენო მოძრაობა – გოგი ოსეფაშვილის

მუსიკალური გაფორმება – ია საკანდელიძის

კონცერტმეისტერი – მარინა წულუკიძე

1989 წლიდან 1992 წლამდე, და შემდეგაც, ისე მიდიოდა შობა-ახალი წელი, რომ ამ ზეიმებით გამოწვეული ფუსფუსი დაიკარგა და რიტუალების მშვენიერებას ადამიანები ველარ აღიქვამდნენ. სპექტაკლის პრემიერა შობა-ახალ წელს შედგა და ვინც ამ დღეებში დაესწრო წარმოდგენას, უმეტესობამ დადებითი ემოციები მიიღო. სწორედ ამ მიზნით დადგა თუმანიშვილმა ეს პიესა. დროებით ეთიშები გარე სამყაროს და მხიარულ ფეიერვერკში ხვდები. ამ სპექტაკლს კინომსახიობთა თეატრი უამრავი ხელისშემშლელი პირობის დროს ქმნიდა, რადგანაც ბუნებრივია – ის, რაც ხდებოდა ქუჩაში, გამოძახილს თეატრშიც პოულობდა. გარეთ კი სიცივე, შიმშილი, დისკომფორტი, სროლა, ომი და არეულობა სუფევდა. გაყინულ სარეპეტიციოში, მიხეილ თუმანიშვილი ჩაფლული თავის საქმეში, რამდენიმე საათით, დროებით სწყდებოდა აფორი-აქებულ გარე სამყაროს და თავშესაფარს ზღაპრული კომბინაციების აგებაში პოულობდა.

ჩვენმა თაობამ მანამდე არ იცოდა რა იყო ომი, შიმშილი, თუმანიშვილს კი ეს ყოველივე გამოცდილი ჰქონდა. რეპეტიციებზე რეჟისორს შეფარულად და არა პირდაპირი გზით შეჰყავდა მსახიობები იდუმალ სამყაროში. სურდა მოეწყვიტა ისინი რეალობას და ფანტაზიაში გაეხვია, რითიც მათი უკვე დასახიჩრებული სულების განკურნებას ცდილობდა.

1991 წლის 7 აპრილს „ზაფხულის ღამის სიზმრის“ პირველ რეპეტიციაზე მიხეილ თუმანიშვილი ამბობდა: „აქ, დედამიწაზე, ხან ვჩხუბობთ, ხან ერთმანეთს ვეფერებით... ამ დროს ვარსკვლავეთისთვის სულ ერთია. ის ხან ახლოსაა და ხან შორს.“

აი, გუშინ ტყავის ქურთუკში ჩაცმული კაცი მოვიდა, მე ვიჯექი და პლასტელინისაგან რაღაცას ვძერწავდი. ამ კაცმა მითხრა –

მალე არჩევნები იქნება და ხმა უნდა მისცეო. ვერ გავაგდე, ტყავის ქურთუკი ეცვა. მე ვცდილობ ჩემი წარმოსახვით ვარსკვლავეთი ზევიდან ქვევით ჩამოვუშვა და უმთავრესი – შევძლო შიგ შესვლა! მე უნდა ვიგძნო, რომ ვარსკვლავეთის კაცი ვარ. „ზაფხულის ღამის სიზმარში“ ვარსკვლავეთი თავისთავად იგულისხმება. ჩვენთან, გარეთ, ქუჩაში აურზაურია. ამ პიესის პირველ მოქმედებაში, თეზევსის სასახლეშიც თითქმის იგივე ხდება, ამიტომაც დავარქვი პირველ მოქმედებას „ალიაქოთი თეზევსის სასახლეში“.

ვარსკვლავეთი გვჭირდება მაშინ, როცა ოფიციალური წესები „გვებრძვიან“, „გვჭყლეტენ“. ჩვენ გვგონია, რომ თეზევსი, ხელისუფლება, ოფიციალური ძალა გვმართავს. ასე არ არის. სინამდვილეში ჩვენ ვარსკვლავეთი გვმართავს. წარმოიდგინეთ სულელების სამყარო, იები, ყვავილები, ჩრდილები სცენაზე. დეკორაციაში ეს რომ არ იყოს, თქვენ მაინც უნდა გრძნობდეთ ვარსკვლავეთს. წაიკითხეთ „ვისრამიანი“, ალისას ამბავი, გულივერი, „გარგანტუა და პანტაგრუელი“ – იქ ყველგან ვარსკვლავეთია.“

თუ ნამდვილი მუსიკის ტოლფასი სამყარო შეიქმნებოდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სალბუნად დასდებოდა მაყურებლის აწეწილ გრძნობებს პაკის (გია როინიშვილი) სიტყვები: „ჩამოგეძინათ სკამებზე თითქოს და რასაც აქ ნახავთ, სიზმარი იყოს.“ დაბადებდა თუ არა სპექტაკლი სიზმრის ილუზიას? იმ ღამეში სიზმრის ილუზიას, რომელშიც დროებითი მოხვედრა ოდნავ მაინც განკურნავდა სულს? ეს ურთულესი ამოცანა გახლდათ. მაგრამ მაყურებელი მოდიოდა სპექტაკლზე, მხიარულობდა და თუ გავითვალისწინებთ 1992-1993 წლების არნახულ თოვლიან ზამთარსა და ზედ დართულ უტრანსპორტობას, ალბათ მივხვდებით, რატომ იყო დარბაზში ანშლაგი. ანტრაქტში გამოსულ მაყურებელს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, მათ აღარ ამძიმებდათ ქურქები თუ პალტოები, აღარ თრგუნავდა, რომ სპექტაკლისთვის განკუთვნილი „სალამო“, უკვე სალამო კი არა, დღის პირველი საათი იყო. გათომილი მაყურებელი არანაკლებ გათომილ დარბაზში იჯდა და „ზაფხულის ღამის სიზმარს“ უყურებდა. თუ სიზმარი ღამეშია, თუ სიზმარი სიფხიზლეში ნაოცნებარი სურვილების რეალიზაციის ილუზიაა, მაშინ კარგ ხასიათზე დგები, იმედიანად ხარ და ყოფითი პრობლემები დროებით პატარავდებიან, ქრებიან. ამ სპექტაკლით თეატრმა მაყურებელს გაახსენა, გაუღვივა სპექტაკი გრძნობები, დროებით მაინც მოაბრუნა სიკეთისა და სიყვარულისკენ – სწორედ ამიტომ თუმანიშვილის ჩანაფიქრმა მიზანს მიაღწია.

უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ – ზღაპარია თუ სიზმარი, კომედიია თუ ჩვენი ცხოვრების მხატვრულად გადმოცემული ფილოსოფიური გააზრება? რატომ უწოდებენ მას ამოუც-

ნობს? იქნებ იმიტომ, რომ ლაბირინთივით ძნელია მისი გავლა?! ის მსუბუქია, ჰაეროვანი და, ამავე დროს, ღრმა და უკიდევანო. ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივზეა ლაპარაკი, თითოეულ ჩვენგანზე და, ამავე დროს, განზოგადებულზე. „ჩვეულებრივი“ დი-ალოგის მიღმა უამრავი რებუსია, უკიდევანო სივრცე, რომელიც ფანტაზიებისა და ზმანებების სამყაროში გიბიძგებთ. ამ სივრცეში შესულთ თითქოს თეზესის ჯადოსნური ჯოხი გეხებათო, ისე მოდის პასუხი კითხვაზე – რა არის ადამიანის ცხოვრება? ცხოვრება სიზმარია... ჩვენი რეალობა, არსებული სინამდვილე ხელშესახები რომ გვეგონა, საპნის ბუშტივით ყოფილა...

თუმანიშვილი „ზაფხულის ღამის სიზმრის“ რეპეტიციებზე ამბობდა: „ეს პიესა გენიალური მასალაა, რომლის მექანიკურ გაკეთება არ შეიძლება. ახლა თქვენ კითხულობთ, მაგრამ ეს ლიტერატურაა. სიტყვები ქცევებად გადათარგმნეთ. სანამ პრაქტიკულად სცენიურ ხერხს არ დაიჭერთ, მანამ ლიტერატურას მნიშვნელობა არა აქვს.“

მთავარია, შექსპირის ლოგიკური სვლები ისე ავურიოთ, რომ სიზმარს დაემსგავსოს. ეს პიესა შესანიშნავი ჭურჭელია, რომელიც უნდა გაავსო მსახიობების შთაბეჭდილებებით ცხოვრებაზე. „ზაფხულის ღამის სიზმარში“ ყველა ხაზი პუნქტირებადაა, ბოლომდე არ არის დამუშავებული. შექსპირი ალბათ გულისხმობდა, რომ მას მსახიობები შეავსებდნენ. ეს დრამატურგი ხომ იმიტომაა გენიალური, რომ ცხოვრებიდან ნაწყვეტებს გლეჯს და მერე ამუშავებს. აქ ვნებათა ღელვაა. ესაა შექსპირი – პოეტი, ის ხომ განიცდიდა!“

ამ პიესაში ბრძოლაა კანონსა და თავისუფლებას შორის, აქ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მთელი გზაა მოცემული. გზა, რომელიც თითოეული წყვილისათვის სხვადასხვაგვარი შემთხვევითობაა. ამ პიესაში ცხოვრებასა თუ სცენაზე სხვადასხვანაირი თამაშის საკითხიც დგას.

რატომ არიან ხელოსნები ნაწარმოებში? ისე, უბრალოდ დაეხეტებიან ტყეში? მხიარულ ამბებს გაითამაშებენ და მხოლოდ ამიტომ? რას წარმოადგენს სულთა სამყარო, რომელიც მთელი პიესის მამოძრავებელი ძალაა? ამ სამყაროს ძალაუფლებით ხომ ეს გმირები ბედის სათამაშონი ხდებიან. აქ სერიოზული არაფერია, რადგანაც ყველაფერი ხუმრობაა, მაგრამ, ამავე დროს, ყოველივეს უაღრესად სერიოზული ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს. ბოლო მოქმედებაში კი თამაშიც თამაშდება.

პიესა თავიდან ბოლომდე სადღესასწაულოა – სიყვარულის ზეიმი, ამ ზეიმის მსვლელობისას კიდევ იცავენ და კიდევ არღვევენ კანონს. ტყეში, ბუნებაში გმირები თავიანთი თავის ძიებაში არიან, სწორედ იქ მიიღწევა ჰარმონია, სწორედ იქ პოულობს თითოეული მათგანი საკუთარ თავს. ჯადოსნური ძალები მოქმედე-